



საქართველო

ფასი 3 მან.

პარასკევი, მაისის 7 1920 წ.

რეპრეზენტა

შთავრობის შიგნით, უკველდლიური გაზეთი (ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით) **საქართველოს რესპუბლიკა**

მიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თეთი 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი პირველ გვ. პეტიტის სტრიქონი ტექსტის წინ 4 მან. მე-4 გვ. 3 მ. 50 კ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივ ზომისა 140 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1-82.

საქართველოს საბრუნო კოორტო საზ. გაგებობა

ამით აცხადებს, რომ გარდა იმ საკითხებისა, რომელიც აღნიშნული იყო პირველ განცხადებაში (იხილეთ ამა წლის „საქართველოს რესპუბლიკა“ № № 89-90 და „გურჯია“ № № 18-19) აქციონერთა საგანგებო

საზოგადო კრებას

მიმდინარე მაისის 15-ს წარედგინება განსახილველად საკითხი შესახებ საზოგადოებრივ წესდების ზოგიერთ პარაგრაფების შეცვლის, სახელდობრ: §§ 1, 2, 7, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 46, 47, 57, და დამატება პარაგრაფებისა 12¹, 12², 12³ და 12⁴—2 492.

შრომის მინისტრის განცხადება

ყველა საწარმოო და დაწესებულებანი (კერძო, საზოგადო და სახელმწიფო) რომლებს მოსამსახურენი და მუშები სარგებლობენ სურსათით მომარაგების ფონდიდან, ვალდებული არიან დაუყოვნებლივ წარმოადგინონ შრომის მინისტრის მუშათა მაგიდაში იმ მუშებისა და მოსამსახურეების სია, რომლებიც ვაჭრული არიან სამხედრო სამსახურში, აგრეთვე წარმოადგინონ მათი სასურსათო ბარათის № №. საწარმოოს ან დაწესებულების ადმინისტრაციამ, რომელიც 10 მინიმუმ არ წარმოადგენს ამ ცნობას, ან სწორად არ აჩვენებს, პასუხისმგებელი იქნება მიცემული. შრომის მინისტრის ამხ. ბახტაძე.

494 1-1

კოვი 1-ლ ხარისხის ბუხალტერათ ამა წლის პირველ აპრილიდან.

5 აპრილი, 1920 წ., № 108.

გადარიცხულ იქნას ქუთაისის ხაზინის მე-2-რე ხარისხის მოლარე წავის გოგავა პირველ ხარისხის მოლარეთ ამა წლის პირველ აპრილიდან.

5 აპრილი, 1920 წ., № 109.

გადარიცხულ იქნეს ქუთაისის ხაზინის მოანგარიშე ლაზარე სართანია მე-2-რე ხარისხის მოლარეთ ამა წლის აპრილის პირველიდან.

5 აპრილი, 1920 წ., № 110.

გადამცემი იქნეს: ქუთაისის ხაზინაში მოანგარიშეს თანამდებობაზე ქიათურის ხაზინის მე-2-რე ხარისხის ბუხალტერი კონსტანტინე ჩეჩელაშვილი ამა წლის პირველ აპრილიდან.

5 აპრილი, 1920 წ., № 111.

დაინშნა ტფილისის შთავარ საბაჟოს ინსპექტორად მივლინებით სად. ნავთლულში ნავთის ნაწილში სამუშაოდ ნავთის ნაწარმოების მოანგარიშე შალვა ალექსანდრეს ძე სიმონიშვილი ამა წლის 1 აპრილიდან.

ფოსტა-ტელეგრაფის ტელეფონის სამმართველოსი

5 აპრილი, 1920 წ., № 20.

გამწესებულნი არიან: ყოფილი ფოსტალიონები: ილარიონ ხურცია, გრიგოლ მეგრელიშვილი და ყოფილი ფოსტალიონი კალისტრატ სარიშვილი და დარაჯი მოსე ქანანოვი მეორე კატეგორიის ფოსტალიონებათ: ხურცია—გორში, მეგრელიშვილი, სარიშვილი და ქანანოვი ტფილისის ცენტრალურ ფოსტაში; მოქალაქე რომან თოდრა ზედამხედველად დაბალი ჯამაგირისა ტფილისის ტელეფონის ქსელზე; ყოფილი მოხელეები: ნიკოლოზ ჯაფარიძე, მარიამ წერეთელი, გრიგოლ დიკი ახლათ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებათ: ჯაფარიძე მესამე ხარისხით—გორში, წერეთელი მეექვსე ხარ.—ბორჯომში, დიკი მეორე ხარ. ტფილისის ცენტრალურ ფოსტაში. მოქალაქე ქალები: ელენა ინა სარიძე, ნადეჟდა ვეგეჟკორი, მინალორა ჟგებლორაძე, ნადეჟდა აბდლაძე, ბარბარე ლოლუა, თამარ ჩიქოვანი, ეკატერინე ნონიკაშვილი, აგრაფენა რომაქიძე, ნინა ჯაყელი, ქსენია ფირცხალაშვილი, ანასტასია ბახუაშვილი, ელენა ნაცვალაძე, ნინა კალატოზოვისა, ბარბარე მამამთავრიშვილი, შუშანიკა ბერიძე, თამარა ჯავახიშვილი, მარიამ ტყავაძე, ანა მერტოვისა, თამარა ძიძიკაშვილი, ოლა მინარაშვილი, თამარა გაჩეილაძე, სოფია ლუმბაძე, ელისაბედ ტეტუნაშვილი, ლუბა ხოშტარია, ყოფილი ზედამხედველი ქალების სასწავლებლისა სარა აკოფაშვილი, ყოფილი მოხელეები: ანა მახარაძისა, აიკანუშ ხეჩუმიძისა, მარიამ ოკუჯავა, ქსენია ბენდუქიძე, და ყოფილი ფოსტალიონი ქალი ანა-ნატალია ქრელაშვილი მეექვსე ხარისხ. მოხელეებათ: ინასარიძე—გორში, გეგეჟკორი, თედლორაძე, აბდლაძე, ლოლუა, ჩიქოვანი, ნონიკაშვილი და რომაქიძე ქუთაისის ტელეფონის ქსელზე; ჯაყელი, ფიცხალაშვილი, ბახუაშვილი, ნაცვალაძე, კალატოზოვისა, მამამთავრიშვილი, ბერიძე, ჯავახიშვილი, ტყავაძე, მერტოვისა, ძიძიკაშვილი, მინარაშვილი, გაჩეილაძე, ლუმბაძე, ტეტუნაშვილი, ხოშტარია, აკოფაშვილი, ბახიყვა, ხეჩუმიშვილისა, ოკუჯავა, ბენდუქიძე, ქრელაშვილი—ტფილისის ტელეფონის ქსელზე; ინასარიძე—გორის კანტორაში, ბახუაშვილი, ნაცვალაძე, კალატოზოვისა, მამამთავრიშვილი, ბახიყვისა, ხეჩუმიშვილისა, ოკუჯავა, ბენდუქიძე, ქრელაშვილი 1 მარტიდან, ინასარიძე 6 მარტიდან, გეგეჟკორი, თედლორაძე, აბდლაძე, ლოლუა, ჩიქოვანი, ნონიკაშვილი, რომაქიძე პირველ თებერვლიდან, ხურცია, მეგრელიშვილი, სარიშვილი 11 აპრილიდან, წერეთელი 6 აპრილიდან, დიკი 7 აპრილიდან. დანარჩენნი 16 პირნი 1920 წლის აპრილის პირველიდან.

დაინშნულნი არიან: ახალ-ათონის მეხუთე კლასის კანტორის უფროსი ერასტი მურღუ-

ლია იმავე მეექვსე კლასის უფროსათ; იმავე კანტორის უფროსის თანაშემწე კონდრატ ბეზუბენკო მეოთხე ხარისხის მოხელეთ, უფროსი მექანიკოსი ალექსანდრე შანიძე ქუთაისის ტელეფონის ქსელის გამგეთ, ონის კანტორის მეხუთე ხარ. მოხელე დომენტი მეტრეველი და წალენჯიხის მოხელე დიმიტრი შელია, ბაშკიჩეთის განყოფილების უფროსი ელიზბარ ხუბუა-მეტრეველი ღვინის განყოფილების უფროსათ და ხუბუა მეხუთე ხარ. მოხელეთ ტფილისის ფოსტაში; ხობის ფოსტალიონი სოლომონ დავითაია მეექვსე ხარ. მოხელეთ სიღნაღში, ფოსტალიონი ტფილისის ფოსტის კანტორისა თამარა იაშვილი და ფ. ტ. მოხელე მეხუთე ხარისხის ნატალია ანდრეევსკისა რემინგტონის ტიპებით: ანდრეევსკისა ტიპით. ტელეგრაფში, იაშვილი ტფილ. ფოსტაში, ბეზუბენკო და მურღულია 1 იანვრიდან, შანიძე 1 თებერვლიდან, მეტრეველი და შელია 11 აპრილიდან, ხუბუა 29 მარტიდან, დავითაია 8 აპრილიდან, იაშვილი და ანდრეევსკისა 1 აპრილიდან 1920 წ.

გადამცემი არიან: ტფ. ფოსტალიონი რაქდენ დედარიანი, ბაშკიჩეთის ფოსტალიონი გრიგოლ კიქნძე, თელავის ზედამხედველი ივანე ხონაქიანი და ფ. ტ. მოხელეები: გორის 1 ხარ. იოსებ კორინთელი, ცხინვალის მეექვსე ხარ. სიმონ ტერ-პეტროსოვი იმავე წოდებებით: დედარიანი—ძირულაში, კიქნძე—ტფილისის ფოსტაში, ხონაქიანი—ენისელში, კორინთელი—ტფილისის ტელეგრაფში, ტერ-პეტროსოვი—გორში; კიქნძე 29 მარტიდან, დედარიანი და კორინთელი 6 აპრილიდან, ხონაქიანი და ტერ-პეტროსოვი 1 აპრილიდან 1920 წლისა. ხოლო დედარიანი, კორინთელი და ტერ-პეტროსოვი თანამხმელ თხოვნებისა.

დაინშნულნი არიან სამსახურიდან: კაქრეთის განყოფილების უფროსი პარამონ ჩაჩხიანი, სამმართველოს კანცელარიის მოხელე თამარა მჭედლიშვილი და ფოსტალიონი ტფ. ფოსტის კანტორისა ქრისტეფორე ჩაგოვიძე. ჩაჩხიანი, მჭედლიშვილი 1 აპრილიდან, ჩაგოვიძე 6 აპრილიდან 1920 წ. ხოლო ჩაჩხიანი თანამხმელ თხოვნისა, მჭედლიშვილი ავადმყოფობისა გამო.

სამმართველოს უფროსი შველაძე.

არა ოფიციალური განყოფილება

სამხედრო ცნობა

(გენერალურ შტაბის ოპერატიული ცნობები. 6 მაისი 1920 წ. ქ. ტფილისი).
გაგრის, ბათუმის, არდავანის ფრანტებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა. ფოილის რაიონში სიმშვიდეა.
ხრამის ხიდან ბრძოლა გრძელდება. მოწინააღმდეგე მებრძოლები შესამჩნევი ძალები. ყაზბეგის და როკის ფრანტებზე სიმშვიდეა.

შთავარ-სარდლის გადლოგა

დამის 12 ს. ამა მაისის 3-ს ბალშევიკთა შეიარაღებული ბრძოლა თავს დაესხა სამხედრო სკოლას, ჯარისკაცთა შორის სახელების გამოწვევის მიზნით. ხელთ იგდეს რა სახალხო გვარდიის ვაზნათა საწყობი, დამცემნი შეიჭრენ იუნკერთა და ჯარის კაცთა ბინებში და გამოაცხადეს ჩვენი მთავრობის შეპყრობისა და ახალი ბალშევიკურ მთავრობის შედგენის შესახებ და აგრეთვე იმის შესახებ რომ ვითომ მთელი ხალხი და დანარჩენი ჯარები შემოუერთდნენ ახალ მთავრობას. ამისთან ერთად ამჯავყელებმა დაიჭირეს ყველა გასასვლელი, შეიპყრეს მორიგე ოფიცერები და თოფების სადგომებთან დააყენეს გუმბაქები.

იუნკრებს და ჯარისკაცებს დაცემის დროს ეძინათ; დარჩნენ რა ერთგულად თავის მოვალეობისადმი მხედრები მსწრაფლ მოსულ ოფიცერების ხელმძღვანელობით აღს-

ს. შ. შ. საავადმყოფო

აცხადებს, რომ შაბათს, 8 მაისს, საავადმყოფოს ეზოში 9 1/2 საათზედ დილით დანიშნულია ვაჭრობა ნივთებისა, რომელიც დარჩათ საავადმყოფოში მიცვალბულთ და აგრეთვე მოსვენებულ მიცვალბულთ. 493 2-1

ოფიციალური განყოფილება

დ ე კ რ ე ს ი

რესპუბლიკის დაცვის საჭიროებისათვის მთავრობის განკარგულებაში 300 000.000 მანეთის ვაგებისა.

1. ვაგებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან მთავრობის განკარგულებაში სამასი მილიონი (300.000.000) მანეთი რესპუბლიკის დაცვის საჭიროებისათვის.
 3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღების დამფუძნებელ კრების მიერ. 1920 წ. აპრილის 30-ს.
- დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ბ. შვიდაძე**.
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანიანი**.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს მუზეუმის შტაბისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა.

1. დამტკიცებულ იქნეს ამა 1920 წლის მარტის 1-დან საქართველოს მუზეუმის შტაბი და ხარჯთ-აღრიცხვა ამ კანონთან დართული წესის თანახმად.
 2. პირველ მუხლში აღნიშნული საჭიროებისათვის ვაგებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან ვანაღლების მინისტრის განკარგულებისათვის ყოველ-წლიურად ერთი მილიონი ორას ორმოცდა ჩვიდმეტი ათას სამასი (1.257.300) მანეთი, ხოლო ამა 1920 წ. მარტის 1-დან ივნისის 1-დე სამას თოთხმეტითასი სამას თხუთმეტი (314.315) მანეთი.
 3. ამ კანონით დამტკიცებულ შტაბზე ვაგრცელებულ იქნეს დამფუძნებელი კრების ამა 1920 წლის თებერვლის 10-ს დეკრეტით დაწესებული მომატება ჯამაგირისა.
 4. კანონი ესე ძალაში შედის დღიდან მიღების დამფუძნებელი კრების მიერ. 1920 წ. აპრილის 23-ს.
- დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე**.
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანიანი**.

საქართველოს მუზეუმის შტაბი და ხარჯთ-აღრიცხვა 1920 წლის მარტის 1-დან ივნისის 1-დე.

№. რიგში.	თანამდებობა.	მოსამს. რიც.	წლიური ჯილდო.
		თვითმუდ.	ყოველს.
1	დირექტორი, იგივე ერთ-ერთ განყოფილების გამგე	1	527800
2	განყოფილების გამგე	4	48000
3	ბიბლიოთეკის გამგე	1	48000
4	პეტროგრაფი	1	43200
5	ბოტანიკოსი	1	43200
6	ენტომოლოგოსი	1	43200
7	იპოლოგრაფი	1	43200
7	მხატვარი	1	43200
9	ფოტოგრაფი	1	43200
10	ტექსტილმისტი	1	43200
11	ასისტენტი	6	28800
12	ბიბლიოთეკის გამგის თანაშემწე	1	28800
13	კანცელარიის გამგე	1	33600
14	თანაშემწე	1	24000
15	ლაბორატორიის მსახური	5	14700
16	შეკრიკი	1	14700
17	მეგზოვე	1	14700
18	სამეცნიერო საჭიროებისათვის		255000
19	სამეურნეო და საკანცელარიო ხარჯებისათვის		45000
	სულ	29	1257300

შენიშვნა: 1) მუზეუმში ირიცხება ხუთი განყოფილება: გეოლოგიური, ზოოლოგიური, ბოტანიკური, ეთნოგრაფიული და საისტორიო-საარქეოლოგი.

შენიშვნა: 2) თვითმუდ განყოფილებას ჰყავს თითო ასისტენტი, გარდა ზოოლოგიურისა, სადაც ორი ასისტენტი ირიცხება.

შენიშვნა: 3) ბიბლიოთეკის და ყველა განყოფილებას საისტორიო-საარქეოლოგი გარდა ჰყავს თითო მსახური. 1920 წ. აპრილის 23-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე**.
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანიანი**.

განკარგულებანი

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი.

5 აპრილი, 1920 წ. № 107.
გადარიცხვის ახალქალაქის ხაზინის მე-2-რე ხარ. მოლარე სურენ მიხეილის ძე პარაკისი-

დღენ უფლებრივ წესრიგისა და თავის სამ-
შობლოს დამოუკიდებლობის დასაცავად, შე
გროვდენ რა სწრაფად და უარყვეს ბოროტ-
გამზარბველთა პროვოკატორული წინადადება,
თავის სამშობლოს მამაც შეიღებმა ღირსეუ-
ლად მოიგერიეს ეს ხალხის უფლების შემლა-
ხველნი. ღრმა კმაყოფილებით აღნიშნავს
ფაქტს თავგანწირულ საქციელისას სახერო
სკოლის იუნკერთა და ჯარისკაცთა, რომელ-
თაც შეიგნეს თავისი სამხედრო და სამოქა-
ლაქო ვალი. სამსახურის პირთ მადლობას
უცხადებ მათ და აგრეთვე ხელმძღვანელ უფ-
როსებს, რომელთაც შესძლეს მათდამი დაქ-
ვემდებარებულებში აღზრდა მხედრისა და
მოქალაქის.

ვუცხადებ რა ამას რესპუბლიკის მთელ შე-
იარაღებულ ძალებს, მრწამს, რომ არმიისა
და გვარდიის დანარჩენი ერთეულები ელიან
მხოლოდ შემთხვევას, რომ დაუმტკიცონ თა-
ვისი ერთგულება ჩვენს ხალხს, რომელიც
მოეწყო ახალს, მისთვის საკეთილდღეო სა-
ფუძველზე.

გენერალი კვინიჭაძე.

მაისის 6-ს, 1920 წ.

აღლუმი

ახანძრის ომის 150 წლის თავზე

გუშინ დღის 12 საათზე ახანძრის ომის 150
წლის აღსანიშნავად გაიმართა აღლუმი. სამ-
ხედრო ტიპარში მყოფელი იყო მიტროპო-
ლიტი ლეონიდე კრებულთა. წირვის დაესწრ-
ენ დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის
წევრები, სხვა და სხვა დაწესებულებათა უმა-
ღლესი წარმომადგენლები, უცხოელ მისიე-
ზის წარმომადგენლები და აუარებელი ხალ-
ხი. წირვის გათავების შემდეგ გაიმართა სამ-
ხედრო ცერემონიალი. აღლუმი მიიღო მთა-
ვარ სარდალმა გენ. კვინიჭაძემ. მეცხრე ქვე-
თა ათასეულს, რომელმაც შემუსრა ოსმალე-
თის ორმოც ათასიანი კორპუსი, რომლის აღ-
სანიშნავად მას დღეიდან ეწოდება „მეცხრე
ქვეთა ახანძრის ათასეული“. ჩაბარდა ეროვ-
ნული დროშა. დასასრულ სამხედრო მინისტ-
რმა მიმართა მხედრობას ვრცელა მეტად ში-
ნაარსიანი სიტყვით, რომელშიც აღნიშნა დღე-
განდღვი პოლიტიკური მომენტის სირთულე,
და მოუწოდა მხედრობას, დღეს როდესაც
მეორდება ისტორიის ფურცლები, როდესაც
ველური მტრები მოსდგომიან ჩვენს სახლე-
რებს, ეკვეთონ მტერს გმირულად და დაიცი-
ვან თავისუფალი სამშობლო. მინისტრმა აღ-
ნიშნა აგრეთვე, რომ ჩვენსკენაა მთელი ევ-
როპა, მისი მუშათა კლასი, ჩვენ დღემდე
თავდაცვას ვაწარმოებდით, დღეიდან კი გა-
დავდივართ შეტევებზე და ვაგრძობთ მხო-
ლოდ იქ, სადაც ლაჩარი და მურტალი მტე-
რი დაიჩოქებს და გვთხოვს პატივება შებრა-
ლებსა.

სწორედ 150 წლის წინად ასეთ მდგომარე-
ობაში იყო ქართველი ერი და გაიმარჯვა,
დღესაც ჩვენ მტკიცედ ვაწამს ეს გამარჯვე-
ბაო. შემდეგ მინისტრმა მიმართა მთავარ
სარდალ გენ. კვინიჭაძეს და უსურვა გამარ-
ჯეობა. სამხედრო ტიპარის გაღვივებთან მოხლ-
ვავებულ ხალხში დიდი ენტუზიაზმი იყო.
დამსწრეთა შორის აღფრთოვანებით ცრემლს
მირაუტლათ კი შენაშნავდით. „გაუმარჯოს
საქართველოს, მის მხედრობას, საქართველოს
მთავრობას“, და სხვა ძახილს დასასრული არ
ჰქონდა.

შინ. საქმეთა საინისტროუი

სურამის ფსიქიატრიული ახალშენი.

წითელი ჯვრის საზოგადოების მთავარი
სამმართველო, რომლის განკარგულებაშია ამ
ჟამად სურამის ფსიქიატრიული ახალშენი,
შუამდგომლობს შინ. საქ. მინ. წინაშე, რა-
თა მთავრობამ დახმარება გაუწიოს ახალშე-
ნის შესანახად. ახალშენში 67 სულით ავად-
მყოფი ყოფილა მოთავსებული. მათი შენახვა
და მოვლა ჯდება თვეში 304,632 მან 50 კ.
წითელ ჯვრის საზოგადოებას კი სახსარი
არ აქვს ახალშენის შესანახად. შინაგან საქ-
მეთა მინისტრმა სათანადო მოხსენება წარუ-
დგინა მთავრობას ახალშენის დახმარების შე-
სახებ.

შინაგვი ქონების იძულებით ჩამართვებზე

ქალ. ლანჩხუთის გამგეობა, თანახმად თვით-
მართველობის საბჭოს 9 აპრილის დადგენი-
ლებითა შუამდგომლობს შინ. საქ. მინისტრის
წინაშე, რათა მთავრობამ დაადსტუროს მათი
დადგენილება იფანე საათის ძე სვანიშვი-
ლის 1170 ოთხკუთხე საყვანი ცარცილი მიწის
ქალაქის საკუთრებათ ჩამართვის შესახებ.
ეს ადგილი ესაჭიროება ქალაქ თვითმართვე-
ლობისათვის შენობის ასაგებათ და 300 ოთხ.
საყენი კი უნდათ კერძო პირისთვის სამოსა-

ხლოდ. სამინისტრომ ამ შუამდგომლობის
შესახებ თავისი მოსაზრებანი წარუდგინა მთა-
ვრობას.

ხევის თემის შუამდგომლობა.

ხევის თემის ხმოსანთა ყრილობის თავმჯდო-
მარემ შემდეგი დეკლარაცია გამოგზავნა სამინის-
ტროში: „ხევის თემის ხმოსანთა ყრილობამ,
სამ ამა მისი შემდგარმა ერთხმად დაადგინა:
ვინაიდან ხევი განიცდის შიმშილს, სიმინდი
რომელიც აწყვია სადგურ ყაზბეგში გადმოე-
ცეს ხევის თემს დასაკმაყოფილებლად და მო-
ბილიზაციის მწყობრად ჩატარებისთვის. სა-
მინისტრომ ამის გამო მიმართა მიწათ-მოქ-
მედების სამინისტროს, რომლის განკარგუ-
ლებაშია ხსენებული სიანიდი.“

ყაჩაღის მოკვლა

თელავში სამაზრო მილიციის უფროსის
დიდუღლადის მიერ მოკლულია ყაჩაღთა რაზ-
მის მეთაური გარი ასტან ასფე-ოღლი.

განათლების სამინისტროში

საშუალო სასწავლებელთა უფრობებს, ეროვნობა და ქალაქთა თვითმართვე- ლობათ.

ზემო აღნიშნულ დაწესებულებებს შემდე-
გი აუწყა განათლების სამინისტროს დირექ-
ტორმა:

თანახმად მინისტრის ამხანაგის განკარგუ-
ლებისა. 1. მიმდინარე 1919/20 წელს ყველა
ტიპისა და საფეხურის სკოლები, საკლასო
მეცადინეობანი უნდა შეწყდეს 12 ივნისს
გაკვეთილების შემდგომ.

2. 12 ივნისიდან 19-მდე პედაგოგიური
საბჭოები მოწავთა წლიურ წარმატებათა
მიხედვით არკვევენ საკითხებს შესახებ:

- ა) კლასიდან კლასში გადასაყვანისა;
- ბ) იმავე კლასში დატოვებისა;
- გ) აბიტურიენტებისათვის სიმწიფის ატეს-
ტატის მიცემისა;
- დ) განმეორებით გამოცდებისა შემოდგო-
მაზე, როგორც კლასიდან კლასში გადასაყ-
ვლელი, ისე განსაკუთრებულ შემთხვევებში
სიმწიფის ატესტატის მისაღებადაც.

3. ამავე დროს პედაგოგიური საბჭოები
აწარმოებენ გამოცდებს გარეშე პირთათვის
სხვა და სხვა კლასის კურსის ცოდნაში მოწ-
მობის მისაღებად;

4. უმაღლეს დაწყებითი სკოლის (როგორც
გინაზისთან არსებული ისე დამოუკიდებე-
ლის) პირველ კლასში ნორმალურ (ოთხწლი-
ანი) სახალხო სკოლაში კურსს დამთავრებულ-
თა მიღება წარმოებს შემოდგომაზე, რომლის
შემდგომ, თუ თავისუფალი ვაკანსიები დარ-
ჩა, — მისაღები გამოცდები გარეშე პირთათვის.

5. ამავე დროს წარმოებს მიღება გინაზი-
ის 1 (5) კლასში უმაღლეს დაწყებითში კურსს
დამთავრებულთა გამოცდებლად, თუ ახალი
ენები უსწავლიათ და დამატებითი გამოცდე-
ბით, თუ აღნიშნული ენები არ უსწავლიათ.

6. მისაღები და ხელმეორედ გამოცდები
შეზღუდვებზე იწყება 8 სექტემბერს, ხოლო
სასწავლო წელი 15 სექტემბერს.

მიწათ-მოქმ. სამინისტროში.

ოზურგეთის სათემო-ს რწმუნებულის შუამდგომლობა.

ოზურგეთის სათემოს რწმუნებულმა შუამდ-
გომლობა აღძრა მიწად მოქმედების სამინისტ-
როს წინაშე, რათა ოზურგეთის, ქუთაისის
და სენაკის მაზრებ შორის მდებარე ტბა
„ნარიონალი“ დაშრობილ იქნას. სამინისტ-
რომ ვაგზავენა ადგილობრივ ამის გამოსაკვ-
ლევად ინჟინერი სმოლნიკოვი, რომლის მო-
ხსენების თანახმად სამინისტრო შუამდგომ-
ლობს მთავრობის წინაშე, რათა ხსენებულ
ტბის ამოსაშრობლად გადადებულ იქნას
65,000 მანეთი ათ მილიონიან ფონდიდან.

დიდუბის სახელმწიფოს მიწებზე არ- სებულ საიჯარო წესის შესვლა.

დიდუბის სახელმწიფოს მიწებზე არსებულ
საიჯარო წესების შეცვლის შესახებ, მიწად-
მოქმედების სამინისტრომ მთავრობაში აღძრა
საკითხი 1912 წლის 23 ივნისის დებულების
გაუქმების შესახებ და ხსენებულ მიწებზე
საიჯარო ვადის 24 წელიწადით ვადით გან-
საზღვრა და გაუშენებელ ადგილების სახელ-
მწიფოს ხელში გადასვლის შესახებ.

მდინარე აკვიბულაზე ჰიდროელექტ- როგენერაციის კონცესია.

საფრანგეთის მოქალაქემ გიბიმ მიწად-
მოქმედების სამინისტროს წინაშე აღძრა
შუამდგომლობა მდინარე აკვიბულაზე ათი
ათას ცენტის ძალის ჰიდრო ელექტრონის
სადგურის ასაგებად სამინისტრომ საკვირდ
სცნო შუამდგომლობის დაკმაყოფილება რის
შეძახებ მოახსენა მთავრობას ეკონომიურმა

საბჭომ, რომელსაც გადაეცა მოხსენება პრი-
ციპიალურად თანხმობა გამოაცხადა კონცე-
სიის მიცემაზე. ხელშეკრულების პროექტს
ამ დღეებში განიხილავს მთავრობა.

განათლების მინისტრის მოხსენება

განათლების მინისტრის მოხსენება რესპუ-
ბლიკის ყველა ტიპის სკოლათა საკვირები-
სათვის და გზატკეცილების გასაყვანად სა-
ხელმწიფოს მამულებიდან ხე-ტყის მასალის
დათმობის შესახებ, მიწათ-მოქმედების მინი-
სტრომ მოიწონა და განაცხადა თავისი პრი-
ციპიალური თანხმობა საკვირო მასა-
ლის უფასოდ დათმობის შესახებ, თუ განა-
თლების სამინისტრო ამ მიზნისათვის საკვი-
რო თანხას გამოითხოვს მომავალ წლ. ხარჯთ-
აღრიცხვით.

შრომის მინისტრისაგან

ყველა საწარმოონი და დაწესებულებანი
(კერძო, საზოგადო და სახელმწიფო), რომ-
ლების მოსამსახურენი და მუშები სარგებლო-
ბენ სურსათით მომარაგების ფონდიდან, ვა-
ლდებულნი არიან დაუყოვნებლივ წარმოადგი-
ნონ შრომის სამინისტროს მუშათა მიდგაში
იმ მუშებისა და მოსამსახურეების სია, რომ-
ლებიც გაწვეული არიან სამხედრო სამსახურ-
ში, აგრეთვე წარმოადგინონ მათი სასურსა-
თო ბარათის ნომრები.

საწარმოოს ან დაწესებულების აღმინისტ-
რაცია, რომელიც ათ მისამდე არ წარმოად-
გენს ამ ცნობას, ან სწორათ არ აჩვენებს,
პასუხისგებაში იქნება შეცემული.

შრომის მინისტრის ამხ. ხახტაძე.

დეკრეტები

(საქართველ. დეკრეტთა სააგენტო)

ხალხმეციური ცნობები.

საბჭოთა რუსეთი და პოლონეთი.

საბჭოთა რუსეთი, რომელმაც მიზნად და-
სახა პოლონეთთან პატიოსანი და მტკიცე
ზავის შეკრა ურთიერთ პატივისცემისა და
თანამშრომლობის ნიადაგზე, ეხლა იძულებ-
ულა იარაღით ვასტეხოს პოლონეთის მთა-
ვრობის ბოროტი სურვილები, რომ ვააუქმონ
ეს საკითხები, რომელიც დაკავშირებულია ამ
ბრძოლასთან, რომლის შედეგებიც დამოკი-
ლებული არა მარტო უკრაინის, არამედ რუ-
სის ხალხის ბედზე, დაადგინეს: რესპუბლიკის
ყველა შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდალ-
თან დაარსონ თავისი შემაღდენლობით დიდი
ავტორიტეტული საბჭო პოლონეთის შემომ-
ტევე კონტრ-რევოლუციის წინააღმდეგ ბრძო-
ლისათვის ძალებისა და საშუალებათა გასაძ-
ლიერებად. განსაკუთრებულ საბჭოს, რომ-
ლის შემადგენლობაში უნდა შევიდენ, რო-
გორც სამხედრო, აგრეთვე პოლიტიკური მო-
ღვაწენი, ევალება გამოძებნა და ყოველმხრი-
ვი განხილვა იმ ზომებისა, რომლებიც თავის
დროზე უნდა იქნეს მიღებული ბრძოლის იმ-
გვარ საშუალებათა დასაგროვებად, რომე-
ლიც უახლოეს დროში გამარჯვებას უზრუნ-
ველყოფს. განსაკუთრებული საბჭოს თავმჯ-
დომარეობა ევალება ა. პრუსილოვს.

5 მაისის სამხედრო ცნობიდან. ივანენის
მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა მდ. ბერე-
ზინის მარცხენა ნაპირზე, დაბა ბერეზინის
ჩრდილოეთით გადმოსული მტრის ნაწილები
უუკუაღდეს. მდ. პრეზიტის შესართავთან
ჩვენმა ნაწილებმა კიევიდან, ჩრდილოეთით
70 ვერსის დაშორებით, დნებრის მარჯვენა
ნაპირზე, სოფელი დაიკავეს. კიევისა და ტო-
რაშინის რაიონში მშვიდობიანობაა. რუსეთ-
ფინეთის საზავო კომისიის უკანასკნელ სხდო-
მაზე რუსეთის დელეგაციის წარმომადგენელ-
მა, დაინახა რა რომ ფინების დათმობაზე არ
მიდიოდენ და ეს კი უნაყოფოდ აგრძელებდა
მოლაპარაკებას, შემდეგი განცხადება გააკე-
თა: თითქმის ორი კვირის მოლაპარაკებამ
სამწუხაროდ არავითარი შედეგი არ მოგვცა.
რუსეთის დელეგაციამ უნდა აღნიშნოს, ყვე-
ლა ცდამ, რომ მეორე მხარე როგორმე აგვე-
ძულებია ჩვენთვის ყოვლად მიუღებელ დროე-
ბით ზავის პირობების უარის თქმაზე, უშედე-
გოთ ჩავვიარა, რადგანაც არა გვსურს მოლა-
პარაკებათა გაქიანურება და რადგანაც ფი-
ნეთის დელეგაციის მიერ წამოყენებული
დროებითი ზავის პირობები ამეტებენ იმ
საზღვრებს, რომლებიც დროებით ზავის შე-
სახებ მოლაპარაკების დაწყებამდის შეიძლე-
ბოდა წარმოგვედგინა, ამიტომ რუსეთის დე-
ლეგაცია იძულებულია დროებით შესწყვი-
ტოს მოლაპარაკება და წავიდეს მოსკოვში
რესპუბლიკის სამხედრო რევოლუციონური
საბჭოსთან პირდაპირ მოსალაპარაკებად.

გერმანული პრესა.

გერმანიის ნოტა

პრესა აღნიშნავს იმ ცულ შთაბეჭდილებას,
რომელიც მოახდინა გერმანიის ნოტამ 200
ათასი ჯარის კაცის დატოვების შესახებ, რაც
ახლდ თხოვნას კი არ წარმოადგენს, არამედ
განმეორება იმ საბუთებისა, რომელიც გერ-
მანიის რწმუნებულმა ინგლისსა და პარიზში
განაცხადა. აღნიშნავენ, რომ ვესტერი მიე-
სალმა აზრთა გაცვლა-გამოცვლის შესაძლებ-
ლობას, რათა ვაიფანტოს ანტანტის ეკვი-
იმის შესახებ, თითქოს გერმანელებს ხელშეკ-
რულების აღსრულების სურვილი არ ქონდეთ,
მაგრამ ამ მიზნის მიღწევა შეიძლება, მხო-
ლოდ მაშინ, თუ თავიდან აცილებული იქ-
ნება ის დაბრკოლებანი, რომელიც სასიკვ-
დილო შეურაცყოფას აყენებს რომელიმე ნა-
ციის ეროვნულ გრძობებს. ამიტომ ვესტერს
იმედი აქვს რომ მალე მოხდება მთავარი ოლ-
ქის ევაკუაცია, როგორც პირველი ზომა ურ-
თიერთ შორის შეთანხმების მიღწევისა.

მღელვარება, რომელიც ზემო სილუზიაში
გამოიწვია უკანასკნელ სისხლის მღვრელ შე-
ტაკებამ, რომლის დროსაც მოკლული იქნა
ერთი პოლონელი, პოლონეთის პლებისციტის
კომისიის წარმომადგენლები და საკონსულო
აიქულა ოპონენი დაეტოვებიათ მრავალი და-
პატიმრებული, რომელთა გასამართლებაც
ზემო სილუზიის სასამართლოების ვაფიცვების
გამო შეუძლებელია, სთხოვს საერთაშორისო
კომისიას ისევ გახსნან გერმანული სასამარ-
თლოები ეს თხოვნა არ იქნა შეწყნარებული
და აჯანყებული ჯერ ისევ ციხეში სხედან.

ფრანგული პრესა.

ისპანიის მეფემ დატოს ახალი კაბინეთის
შედგენა დაავალა.

პოლონელების მიერ კიევის აღების დროს
ბალშევიკებმა მათ 25,000 ტყვე დაუტოვეს.

რკინის გზელთა ვაფიცვა იმავე მდგომარე-
ობაშია. მთავარ ხაზებზე სამუშაოზე დაახლო-
ვებით 15 პროც. არ მოსულა. დანარჩენ ხა-
ზებზე ეს რიცხვი ბევრად ნაკლებია.

„პტი პარიზიენი“ იუწყება ბერლინში სა-
ფრანგეთის მომავალ საელჩოს შესახებ, მოკა-
ვშირეთა მთავრობა—სწერს ვაზეთი—ქაქმდის
მხოლოდ უბრალო აზრთა გაცვლა-გამოცვლას
ახდენდა.

ახალი აზრები

— მთავარ სარდლის განკარგულებით გა-
ზეთების ასოთ ამწყობნი და მტკიცადნი გან-
თავისუფლებულნი არიან ჯარში გაწვევიდან
ერთი თვის ვადით.

— ტფილისის და აღმოსავლეთ საქართ-
ველოს მაზრების გენერალ-გუბერნატორის
განკარგულებით დაიხურა ტფილისში გამო-
ცემული ვაზეთი „ნოვოსტი დნია“ რომელიც
განზრახ ათავსებდა სენსაციურ ცნობებს.

— ბორჩლოს საეროობა სამართველოს
მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირ-
მა, განიხილა რა 4 მაისს მიმდინარე
მომენტის შესახებ, დაადგინა აცნობის მთავ-
რობას, რომ იგი მხათაა მთელი თავისი
ძალ-ღონით დაიცვას რესპუბლიკის დამოუ-
კიდებლობა და თავისუფლება იმპერიალის-
ტების თავდასხმისაგან. ასეთივე დეკრეტები
მოსულია სხვა და სხვა ადგილებიდან, საი-
დაც იტყობინებია რომ ქართველი ხალხნი
რევოლუციის მონაპოვარს დაიცვას მტკიცეთ
და ხალხს ააცილენენ კარზე მომდგარ საფრთ-
ხეს.

— შინაგან საქმეთა მინისტრს აუარებელი
დეკრეტ მოსდის, რომლითაც აცნობებენ სხვა
და სხვა თემიდან, რომ ვაცემულმა ბრძანე-
ბამ ჯარში გაწვეულ ოჯახების ყაზების და-
მუშავების შესახებ ხალხში დიდი თანგრძო-
ბა პოვა და ყველანი ერთსულდენად გამსჭ-
ვაფულნი არიან, რომ მომავალ მოსავალს ხე-
ლი შეუწყონ. ჯარში გაწვეულ ოჯახების
წევრებისათვის ბევრგან ფულს აგროვებენ
და დახმარებას უჩენენ.

— ამ დღეებში მიმდინარე მომენტის შე-
სახებ ტფილისის ყველა ვაზეთების რედექ-
ტორების კრება მოხდება.

— სამხატვრო თეატრის წარმოდგენებზე
11, 12, 13 და 14 მაისს ბილეთები იყიდება
ორდღით, 6, 8 მაისის შემდეგ ეს კი ორდღ-
რები ძალაში აღარ იქნებიან.

— ნიუ ჯორდანის ოხულებათა სრულ
კრებულზე ხელის მომწერთა საყურადღებოდ
მისი გამოცემული ქართული ბეჭდითი ამ-
ხანავაგა აცხადებს, რომ: 1) ვისაც სრული
ოხულების (ხუთმეტრივე ტომის) მიღება
ჰსურს, სუყველა ტომი ამ თავითვე უნდა
დაიკვეთოს და ბეც დაკვეთისთანავე წარმოად-
გინოს, თითო წიგნზე 30 მ., სულ 450 მან.
(30×15=450); 2) ვინც თითოეულ ტომისას
რამდენიმე ცალს დაიკვეთს, ისევე ყველა და-

კვირე წიგნის ბეც უნდა შემოიტანოს; ვიცი დღემდე ხელი მოაწერა (კონტრაქტი ან ფოსტით) თუ მსუბუქი დანარჩენ ტომების მიღებაზე, ბეც უნდა შემოიტანოს, რადგან წიგნი მხოლოდ ხელის მომწვერთათვის იბეჭდება განსაზღვრული რიცხვით.

ბათუმის ვაჭარ-მრეწველთაგან ცენტრობანკის თავმჯდომარე მ. გოთლამ მიიღო შემდეგი დეკლარაცია: გთხოვთ გადასცეთ ჩვენი სამომხმარებლო დედა ქალაქის ვაჭარ-მრეწველთა ჩვენი სალამი და ღრმა გადაწყვეტილება, რომ ჩვენ მათთან ერთად მზად ვართ ფიზიკურად და ქონებრივად უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვეშაბურათ ჩვენ საყვარელი სამომხმარებლო დედა ქალაქის შესახებ. შესდგა კომიტეტი და თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლად ვსდებთ ათ მილიონამდე თანხას.

დღეს სრულიად საქართველოში გაიმართება ქართველ პოეტთა და ლიტერატორთა „პოეზიის დღე“. ტფილისში ყველა სათეატრო და რაზმებში გაიმართება სახეიმა საღამოები. დღესასწაულის აღსანიშნავად დღეს გამოვიდა სპეციალური გაზეთი „პოეზიის დღე“.

კვირას 9 მაისს, დილის ათ საათზედ სახელმწიფო უნივერსიტეტში, პირველ აუდიტორიაში სიბრძნის მეტყველების ფაქულტეტის საჯარო სხდომაზე აკაკი შანიძე დაიკავა დისტრუქციის „სუბიექტიური პრეფექსი მეორე პირისა და ობიექტიური პრეფექსი მესამე პირისა ქართულ ზნაუბში“, რომელიც წარდგენილია ქართული ენათმეცნიერების დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსპოვებლად. ოფიციალური ოპონენტად დანიშნულია: პროფესორი ივ. ჯავახიშვილი და პროფესორი გ. ახვლედიანი.

მგოსანი ცახელის ოჯახობა აცხადებს საზოგადოების საყურადღებოთ, რომ დათბობა ლოლობერიძის მიერ დაბეჭდილი და გამოცემული მისივე (ლოლობერიძის) სურათის შემოსავალი თითქმის ცახელის ოჯახის სასარგებლოდ იყოს დანიშნული, სიმართლეს მოკლებულია და არც არავის დაუვალდება მისთვის. ამ სურათის დაბეჭდვა.

ასკინის ბროლის 150 წლის თავი 1770-1920

მივიხედოთ ენლა საქართველოსკენ. ჩვენი სამომხმარებლო პოლიტიკური მდგომარეობა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მთხროვდა სახალხო ძალთა უაღრეს დაძაბვას. საქართველოს, ვარშემორტყმულს, ერთის მხრივ, მთიელებით და მეორეს მხრივ, მალღეთით და სპარსეთით და მათ მიერ დაპყრობით მრავალ სახანოებით, უნდა გადაეტანა მუდმივი მოსევა უცხო ხალხებისა, მტრულ განწყობილების მქონებელთა მასთან სარწმუნოებრივად და გარ-ტომებრივ ჩამომავლობითაც. აი ამიტომაც ისტორიული ცხოვრება ჩვენი ერისა წარმოადგენდა განუწყვეტელ ბრძოლას დასაცველად თავისუფლებისა გარემო მოსახლედ, მასთან მტრულად განწყობილ, ხალხებისაგან.

თავის მრავალ საუკუნოვან არსებობის განმავლობაში საქართველოს ჰქონდა ბევრი ბრწყინვალე ხანები, როდესაც იგი მოაღწევდა ხოლმე უმაღლეს პოლიტიკურ ძლიერებას და კულტურულ განვითარებას ასე, ხანები ვახტანგ გორგასლისა (440-499), დავით აღმაშენებლისა (1183-1125), თამარ დედისა (1184-1212), გიორგი ბრწყინვალისა (1318-1346) და ბოლოს ერეკლე მეორისა (1744-1798) ითვლებიან უმეტესად ბრწყინვალედ საქართველოს ისტორიაში. ამ ხანებში სამხედრო ძლიერებისთან ერთად საქართველო მსვლელობდა თავისი შინაურ სახელმწიფო აღმაშენებლობისა და განმტკიცების გზით, მალღებოდა როგორც სულთერად, ისე ფიზიკურად, და ხდებოდა ძლიერ შეჯგუფებულ სახელმწიფო ერთეულად.

მეთვრამეტე საუკ. პირველ ნახევრის გასულს ერეკლე თემურაზის ძის გამეფების უმაღლეს საქართველოს დაუდგა ერთი ამგვარი ბრწყინვალე ხანი. ყრობის ასაკვე ერეკლემ განიმტკიცა თავი თავის წმინდა სამხედრო ვარჯიშით: იყო შესანიშნავი ცხენოსანი, დაუცდენელი მსროლელი, ხმალ-ხანჯლის ხმარებაში ხომ მეტოქე არ ჰყვანდა. ამას გარდა, მუდმივმა ფიზიკურ ვარჯიშობამ არა თუ განავითარა მასში ტანის აზოვნება, არამედ განუმტკიცა სულიც და მისცა შეძლება იმ მდგომარეობაში, რომელშიაც იმყოფებოდა საქართველო, განვიერთარებინა თავისი სამხედრო ნიჭი. ასე, 17 წლის

ერეკლე უკვე იღებს მონაწილეობას ქიზიყზე მოსულ ლეკების უკუსაქცევ ბრძოლაში და პირად ვაქცაობში იმსახურებს საერთო ხობებს. ერეკლეს საქველეთა ამბავი იმემა სახელოვან ნადირ-შას და მან სთხოვა თემურაზს გაეგზავნა მისთვის შვილი ქართველ რეზულ რაზმით. სპარსთა მპყრობელმა მაშინ დაიმორჩილა ყანდაარი და ემზადებოდა სალაშქროდ ინდოეთს. ერეკლე გამოეცხადა მრისხანე ყანეს.

ბროსის თავის „საქართველოს ისტორიაში“ მოჰყავს შემდეგი საფულისხმო შემთხვევა. წარუდგა რა ყანეს, ერეკლე ვაშტერდა მის მოვლოდნელ კითხვით: „არ მიიღებ მაჰმადიანობას?“. თუმც მცირე წლოვანი იყო ერეკლე, მაგრამ არ დაიბნა და უპასუხა ცქვიტად: „ყენო, ნება გაქვს ისე მომეპყრა, როგორც გასურს, მაგრამ გამოცვლა კი ქრისტეს სარწმუნოებისა, რომელშიც მე აღვიზარდე, არ შემიძლიან“. ნადირმა მომადებლა ხმა და უთხრა: „ნუ გეშინიან, მე არ გავამაჰმადიანებ“. ერეკლე მოეწონა ყანეს და უბრძანა დაეჭირა ადგილი თავის მეორე შვილის ნასრულა მირზის ქვემო.

ინდოეთის ამ შესანიშნავ ლაშქრობაში ერეკლე აკვირვებდა ყანეს თავის გულგრილობით ბუნებურ ქვეყნის ზრპარულ სიმდიდრისადმი და მისდა მიპყრობილ პატივისადმი. და ყენიც, რომელმაც იცოდა დაფასება და ამორჩევა დამიანებისა, თანდათან იახლოვებდა ერეკლეს. მის ქართველ რაზმს მიანდობდა ყველაზე პასუხსაგებ დავალებათ. ერეკლეს აზრ-გეგმებს მიითვალვინდნენ დიდის პატივით.

